გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 49

2022 წლის 11 მარტი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და გულნარა ოთიაშვილს შორის 2019 წლის 28 მარტს გაფორმებული №7 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

„გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 09 მარტის №43 განკარგულებისა და „გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 09 მარტის №44 განკარგულების საფუძველზე, აუქციონი შედეგად, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და გულნარა ოთიაშვილს შორის 2019 წლის 28 მარტს გაფორმდა №7 პრივატიზაციის ხელშეკრულება იმ პირობით, რომ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. გორი, სუხიშვილის ქ. (ტურბაზის მიმდებარე), არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს/კ 66.45.08.155; 394 კვ.მ.) მყიდველი ვალდებული იყო მიწის ნაკვეთის განაშენიანება და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება განეხორციელებინა პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადაში. 2019 წლის 27 დეკემბრის N 191567709 სამკვიდრო მოწმობით, აღნიშნული მიწის ნაკვეთი მემკვიდრეობით საკუთრებაში მიიღო ელენე ალბოროვიმ.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესული იყო ელენე ალბოროვის წარმომადგენლის ანი ოქროპირიძის განცხადება, რომელშიც იგი აღნიშნავდა, რომ არსებული პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, ხელი შეეშალათ სამშენებლო მასალების შესყიდვაში, ასევე, მომუშავე პერსონალის დახურულ სივრცეში მუშაობაში, რამაც ხელი შეუშალა სამუშაოების დასრულებაში და შესაბამისად - პირობის შესრულებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ელენე ალბოროვის წარმომადგენელი ანი ოქროპირიძე ითხოვდა მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას ერთი წლით, რაც, პანდემიიდან გამომდინარე არსებული შეზღუდვების და მითითებული გარემოების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად ჩაითვალა და „გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და გულნარა ოთიაშვილს შორის 2019 წლის 28 მარტს გაფორმებული №7 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 12 მარტის № 45 განკარგულების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის მერიამ შეცვალა გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და გულნარა ოთიაშვილს შორის 2019 წლის 28 მარტს გაფორმებული №7 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობა და

პრივატიზებულ მიწის ნაკვეთის (მის: ქ. გორი, სუხიშვილის ქ. (ტურბაზის მიმდებარე), არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს/კ 66.45.08.155; 394 კვ.მ.) განაშენიანეის და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად განსაზღვრა პრივატიზაციიდან 3 (სამი) წლის ვადა.

2022 წლის 11 თებერვალს N19/202204245-20 განცხადებით ელენე ალბოროვის წარმომადგენლმა ანი ოქროპირიძემ მიმართა გორის მუნიციპალიტეტის მერიას და პანდემიიდან გამომდინარე, ასევე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ითხოვს ვადის კიდევ 1 (ერთი) წლით გაგრძელებას. ასევე აცხადებს, რომ დამატებულ ერთ წელიწადში სრულად შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მითითებული ვადის კიდევ ერთი წლით გაგრძელება გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და გულნარა ოთიაშვილს შორის 2019 წლის 28 მარტს გაფორმებული №7 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. გორი, სუხიშვილის ქ. (ტურბაზის მიმდებარე), არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს/კ 66.45.08.155; 394 კვ.მ.) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 3 (სამი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე,

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და გულნარა ოთიაშვილს შორის 2019 წლის 28 მარტს გაფორმებული №7 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. გორი, სუხიშვილის ქ. (ტურბაზის მიმდებარე), არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს/კ 66.45.08.155; 394 კვ.მ.) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 3 (სამი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე